ხელშეკრულება №06/014

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2019 წლის 04 ივნისი ქ. თბილისი

ერთის მხრივ, **სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**, წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის **ქეთევან ლაკირბაიას** სახით, (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად"
მისამართი: ქ. თბილისი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22.
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, გრანტი # H2020-II-18-093

მეორეს მხრივ **შპს "გურმე"** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინო მამულაშვილის** სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად")
მისამართი: ქ. თბილისი, ფალიაშვილის 53.
საიდენტიფიკაციო კოდი 404407879;
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა №GE63 BG00 0000 0881 2924 00

ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ' ქვეპუნქტით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი გაუწევს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებულ მომსახურებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, ხოლო შემსყიდველი იღებს აღნიშნულ მომსახურებას და ვალდებულია დროულად, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადაიხადოს მისი საფასური.

1.2. მომსახურეობის გაწევა ხდება შემდეგი მიმართულებით: (CPV:55500000)

1.2.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს კვებით მომსახურებას დანართი №1-ით გათვალისწინებული მენიუს შესაბამისად.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

3. მომსახურების გაწევის წესი და ადგილი

მომსახურების გაწევა ხდება ეტაპობრივად მხარეებთან შეთანხმებით, 26, 27 და 28 ივნისს, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5-ში.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მომსახურება.

4.2. თუკი, ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება სრულყოფილი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, გამოასწოროს ეს ნაკლი.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია მომსახურების სრულყოფილად გაწევის შემდეგ გადაიხადოს მისი ფასი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

4.5. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **3114,00** (სამი ათას ას თოთხმეტი) ლარი.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში, სრულად გაწეული მომსახურების შესახებ მხარეებს შორის გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი ინვოისის შესაბამისად არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა.

6. ხელშეკრულების ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

6.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება ევალება შესყიდვების სამსახურის მთავარ სპეციალისტს – შოთა სიბაშვილს.

7. შესყიდვის საგნის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც შემსყიდველის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას.

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს შესყიდვების სამსახურის მთავარ სპეციალისტს – შოთა სიბაშვილს.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის, ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლე-ბელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდე-ბა ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია მომსახურების სრულად ან ნაწილობრივ გაწევა;

ბ) მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1 %-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახ-დელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა შეტანის და შეწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულებების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარსდება ხელშეკრულების პირობები შემსყიველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალოქო 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევე-ბისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. საქართველოს სამოქალოქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

11.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალხმრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.5. ხელშეკრულების 11.4. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინიციატორი მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 10 სამუშაო დღით ადრე წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

13. დასკვნითი დებულებები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ორი - შემსყიდველს, ერთი - მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს "გურმე"
ქეთევან ლაკერბაია	ნინო მამულაშვილი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	დირექტორი

Ilia State University

Digitally signed by Ilia State University
Date: 2019.07.01 17:35:09 +04'00'

დანართი №1

26 ივნისი ყავის შესვენება

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	ყავა	30	2.5	75
2	ჩაი	20	2.5	50
3	რძე პარმალატი 1 ლ	1	4.5	4.5
4	წყალი 0.5 ლ	20	1	20
5	მინერალური წყალი 0.5	10	1	10
6	მუყაოს ჭიქა	30	1	30
7	მომსახურება	1	45	45
				234.500

26 ივნისი ფურშეტი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	კრუასანი	10	1.5	15
2	კრუასანი შოკოლადის	10	1.7	17
3	კრუასანი ჯემით	10	1.7	17
4	მინი ოღანე	10	2	20
5	სამარხვო ორცხობილა	10	1.5	15
6	კარამელის ორცხობილა	10	1.5	15
7	მაფინი შოკოლადის	5	1.5	7.5
8	მაფინი ალუბლის	5	1.5	7.5
9	ფორთოხლის მაფინი სამარხვო	5	1.5	7.5
10	მინი შუ კარამელით	5	1	5
11	მინი ეკლერი	5	1.2	6
12	ტარტი ვაშლით და ნიგვზით	5	2.5	12.5
13	ყავა	30	2.5	75
14	ჩაი	20	2.5	50
15	რძე პარმალატი 1 ლ	1	4.5	4.5
16	წყალი 0.5 ლ	20	1	20
17	მინერალური წყალი 0.5	10	1	10
18	მუყაოს ჭიქა	30	1	30
19	ერთჯერადი ჭურჭელი	30	2.5	75
20	მომსახურება	1	45	45
				454.500

26 ივნისი ფურშეტი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	ხაჭაპური	30	1.20	36
2	ხორცის ღვეზელი	20	1.50	30

3	ლობიოს ღვეზელი	20	1.00	20
4	სოკოს ღვეზელი	10	1.20	12
5	კანაპე ქათმის	15	2	30
6	კანაპე ნიუ (საქონლის ხორცით)	15	2.5	37.5
7	კანაპე პომოდირი ჩერი მოცარელათი	15	3	45
8	კანაპე ისპანახი ჰოლანდიური ყველით	15	2.5	37.5
9	ბადრიჯანი ნიგვზით	15	2.00	30
10	ისპანახი ნიგვზით	15	2.00	30
11	ბრუშეტი ლორით და ჰოლანდიური ყველით	20	2	40
12	ბრუშეტი სამარხვო	10	2	20
13	მინი ბურგერი ლორით და ჰოლანდიუირი ყველით	10	2	20
14	მწვადი ქათმის (ჩხირზე)	20	2.8	56
15	მწვადი ბოსტნეულის (ჩხირზე)	10	2.5	25
16	ბლინი ხორიცით	15	1.5	22.5
17	ბლინი სოკოს	15	1.5	22.5
18	ფხალის ასორტი	15	3	45
19	ფახიტასი ქათმის	10	5	50
20	ბოსტნეული	10	4.5	45
21	წვენი კულა 1 ლ	5	6	30
22	წყალი 0.5	20	1	20
23	მინერალური წყალი 0.5	10	1	10
24	კანაპეების დასადები	1	25	25
25	ერთჯერადი ჭურჭელი	30	0.8	24
26	მომსახაურება	1	45	45
				808.000

27 ივნისი ყავის შესვენება

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	კრუასანი	10	1.5	15
2	კრუასანი შოკოლადის	10	1.7	17
3	კრუასანი ჯემით	10	1.7	17
4	მინი ოღანე	5	2	10
5	მინი ფუნთუშა მარწყვით(სეზონური)	5	2.2	11
6	სამარხვო ორცხობილა	10	1.5	15
7	მაფინი შოკოლადის	5	1.5	7.5
8	მაფინი ალუბლის	5	1.5	7.5
9	მაფინი სამარხვო	5	1.5	7.5
10	მინი შუ	5	0.8	4
11	მინი ეკლერი	5	1.2	6
12	ტარტი ხილის	5	2.5	12.5
13	ტარტი შოკოლადის	5	2	10
14	ყავა	20	2.5	50
15	ჩაი	10	2.5	25

16	რძე პარმალატი 1 ლ	1	4.5	4.5
17	წყალი 0.5 ლ	15	1	15
18	მინერალური წყალი 0.5	5	1	5
19	მუყაოს ჭიქა	20	1	20
20	ერთჯერადი ჭურჭელი	20	2.5	50
21	მომსახურება	1	45	45
				354.500

27 ივნისი ლანჩი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	ხაჭაპური	20	1.20	24
2	კარტოფილის ღვეზელი	10	1.00	10
3	ხორცის ღვეზელი	10	1.50	15
4	ლობიოს ღვეზელი	10	1.00	10
5	ტარხუნის ღვეზელი (სეზონური)	5	1.20	6
6	სოკოს ღვეზელი	5	1.20	6
7	კანაპე ქათმის	10	2	20
8	კანაპე ნიუ (საქონლის ხორცით)	10	2.5	25
9	კანაპე პომოდირი ჩერი მოცარელათი	10	3	30
10	კანაპე ისპანახი ჰოლანდიური ყველით	10	2.5	25
11	ბადრიჯანი ნიგვზით	10	2.00	20
12	ისპანახი ნიგვზით	10	2.00	20
13	სოკოს კანაპე	10	2.5	25
14	ბრუშეტი ლორით და ჰოლანდიური ყველით	15	2	30
15	ბრუშეტი სამარხვო	10	2	20
16	მინი ბურგერი ლორით და ჰოლანდიუირი ყველით	10	2	20
17	მწვადი ქათმის (ჩხირზე)	10	2.8	28
18	მწვადი ბოსტნეულის (ჩხირზე)	10	2.5	25
19	ბლინი ხორიცით	10	1.5	15
20	ბლინი სოკოს	10	1.5	15
21	ფხალის ასორტი	15	3	45
22	ქათმის ფილე ნაღების სოუში	10	5	50
23	ბოსტნეული	10	4.5	45
24	წვენი კულა 1 ლ	4	6	24
25	წყალი 0.5	15	1	15
26	მინერალური წყალი 0.5	5	1	5
27	კანაპეების დასადები	1	25	25
28	ერთჯერადი ჭურჭელი	20	0.8	16
29	მომსახაურება	1	45	45
				659.000

08 ივნისი

#	საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება
1	მეგრული ხაჭაპური	7	1.50	10.5
2	ხაჭაპური ჩხირზე სულგუნით	7	2.00	14
3	ფრანგული ხორცის ღვეზელი	5	2.50	12.5
4	ხორცის ღვეზელი	5	1.50	7.5
5	ლობიოს ღვეზელი	5	1.00	5
6	სოკოს ღვეზელი	5	1.20	6
7	კანაპე ქათმის	10	2	20
8	კანაპე ნიუ (საქონლის ხორცით)	5	2.5	12.5
9	კანაპე პომოდირი ჩერი მოცარელათი	10	3	30
10	კანაპე ისპანახი ჰოლანდიური ყველით	10	2.5	25
11	სალათი ცეზარი	5	3	15
12	ბადრიჯანი ნიგვზით	10	2.00	20
13	ისპანახი ნიგვზით	10	2.00	20
14	სოკოს კანაპე	10	2.5	25
15	ბრუშეტი ლორით და ჰოლანდიური ყველით	10	2	20
16	ბრუშეტი სამარხვო	7	2	14
17	მინი ბურგერი ლორით და ჰოლანდიურირი ყველით	10	2	20
18	მწვადი ქათმის (ჩხირზე)	5	2.8	14
19	მწვადი ბოსტნეულის (ჩხირზე)	10	2.5	25
20	ბლინი ხორიცით	5	1.5	7.5
21	ბლინი სოკოს	5	1.5	7.5
22	ფხალის ასორტი	10	3	30
23	რაგუ	10	5.5	55
24	ბოსტნეული	5	4.5	22.5
25	წვენი კულა 1 ლ	3	6	18
26	წყალი 0.5	10	1	10
27	მინერალური წყალი 0.5	5	1	5
28	ყავა	15	2.5	37.5
29	ჩაი	5	2.5	12.5
30	კანაპეების დასადები	1	25	25
31	ერთჯერადი ჭურჭელი	15	0.8	12
32	მომსახაურება	1	45	45
				603.500

სულ: 3114.000

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქეთევან ლაკირბაია

შპს "გურმე"
დირექტორი
ნინო მამულაშვილი